

Homeland Concept In „the Knight in the Panther’s Skin“ by
Shota Rustaveli and „Divine Comedy“
by Dante Alighieri

სამშობლოს კონცეპტი შოთა რუსთაველის
„ვეფხისტყაოსანსა“
და დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“

Lia Karichashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of philology,
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature; Scientific worker
(Tbilisi, Georgia)

ლია კარიჭაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი
თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
(თბილისი, საქართველო)

Abstract:

In *The Knight in the Panther’s Skin* by Shota Rustaveli, the syntagma “native land” was mentioned twice. It has binary meaning: directly it means the homeland (“the native land is mine”, 544) allegorically – the paradise (“They gave me the native land so desired for me” 812). The concept of the homeland has the binary meaning in the *Divine Comedy* by Dante Alighieri as well. The poet defines its metaphorical sense: We should imply the heaven as the homeland (91).

In the both texts the biblical concept is apparent: the paradise was Adam’s homeland, once lost and returning to it became the eschatological aim of the humans. Naturally, there are deep internal ties between the worldly and heavenly homeland: the heaven is a divine idea of the worldly native land (archetype). “From one man he made all the nations, that they should inhabit the whole earth; and he marked out their appointed times in history and the boundaries of their lands” (The Acts of the Apostles 17:26). Thus, the individual is born at predetermined time and place, to seek for God. The purpose is mystic and its understanding takes place with the

person's self-comprehension ("who is he, where came he from, where is he and where will he go" David Guramishvili).

In *The Knight in the Panther's Skin* God is "who fixes the bounds" (792,3) and in the *Divine Comedy* the homeland and mother tongue is determined by Lord: the nature gives the men the mother tongue / and what kind of speech this should be, is ruled by the Lord" (127).

In the Christian literature the heaven is frequently mentioned as the divine Jerusalem or Zion and the world as Egypt. Dante also applies such paradigmatic eloquence as well: That's why he was allowed to come from that darkness of Egypt here, to Zion (55).

For both poets, the invisible stairs from the worldly homeland to the heavenly one is the faith, realized in the lifestyle of the characters, serving to lord, homeland and human being.

Keywords: Homeland Concept; „the Knight in the Panther's Skin“; "The Divine Comedy"

საკვანძო სიტყვები: სამშობლოს კონცეფცია; „ვეფხისტყაოსანი“; „ღვთაებრივი კომედია“

„ვეფხისტყაოსანში“ სინტაგმა „მკვიდრი მამული“ ორჯერ გვხვდება. იგი ბინარული ცნებაა, პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავს სამშობლოს („ჩემია მკვიდრი მამული“, 544) და ალევორიულად – სამოთხეს („მომცეს მკვიდრივე მამული მუნ ჩემი სასურვალეები!“ 812). სამშობლოს ცნება ბინარული მნიშვნელობისაა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაშიც“. მის გადატანით მნიშვნელობას პოეტი თავადვე განმარტავს: „სამშობლოდ უნდა ვიგულისხმოთ სასუფეველი“:

„მათვის იტყოდა ისაია, განმზადილია
სამშობლოშივე სამოსელი უკვე ორმაგი,
სამშობლოდ უნდა ვიგულისხმოთ სასუფეველი.“
(სამოთხე, ქება 25-ე, სტრ. 91)

ორივე პოემაში თვალსაჩინოა ბიბლიური კონცეფცია: სამოთხე ადამის სამკვიდროა, რომელიც დაკარგა და მისი დაბრუნება ადამიანის ესქატოლოგიურ მიზნად იქცა.

ცალ-ცალკე „მკვიდრი“ (სამკვიდრო) და „მამული“ – შინაარსობრივად ახლოს არიან ერთმანეთთან. ძირითადად, მათი განმარტებები ასეთია:

„მამული – მამისეული.

„მამული – სოფელი, სამშობლო, მამა-პაპა, ტომი.

მამული – მამაპაპური, მამეული, მამობრივი, მშობლიური“ (აბულაძე, 1973, გვ. 215).

„მამულს“ აქვს როგორც ვიწრო (კერძო მამული), ასევე ფართო გაგება (სამშობლო).

„დამკვიდრებაში“, ისევე როგორც „მამულში“, „იკითხება“ მიწა, ნიადაგი, როგორც ამას მინანიშნებს სულხან-საბასეული განმარტება: „*დამკვიდრება – სანიადაგოდ დაპყრობა, სანიადაგოდ დასახლება*“. (ორბელიანი, 1991, გვ. 194). როდესაც სიტყვა „დამკვიდრება“ უკავშირდება „საუკუნოს“, როგორც „უჟამო ჟამს“ („ცხოვრებად საუკუნოდ დავიმკვიდრო“ მრ.10.17), ხდება მიწის „განსულიერება“. აქ ქრონოტოპი ზესივრცული და ზედროულია. სწორედ „სულიერი მიწის“ განცდა ჩანს გურამიშვილის ვედრებაში უფლის მიმართ:

„გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხო,

ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო“.

(„დავითიანი“, სტრ. 332)

დამარხვა უფლის „კერძ“ გულისხმობს დამკვიდრებას სამოთხეში. სასულიერო მწერლობაში ზოგჯერ „მამულს“ ახლავს ეპითეტი „მიწიერი“, რაც ოპოზიციურად მის არამიწიერ განზომილებაზეც მეტყველებს. ზეციურ და მიწიერ მამულთა ურთიერთმიმართება ისეთივეა, როგორც იდეასა და მის მატერიალურ განსახოვნებას შორის.

„ქართულში სიტყვათა სემანტიკურ ბინარულობას ხშირად ქრისტიანული ენობრივი მსოფლხედვა განაპირობებს. ამ მხრივ, მიზანშეწონილია დაკვირვება სულიერ სფეროთა აღმნიშვნელ სიტყვებზე, რომლებსაც მეორე, ყოფითი მნიშვნელობაც აქვთ“, – აღნიშნავს რევაზ სირაძე (2000, გვ. 348) და საილუსტრაციოდ ასახელებს „სიტყვას“ (ლექსიკური ერთეული და ლოგოსი), „ერთს“ (რიცხვითი სახელი და ღვთიური ყოვლისმთლიანობა), „სახეს“ (პირისახე და არსობრივი

ფორმა), „სამოთხეს“ (ბალი და სულეთი)“. ამ სიტყვათა რიგში მოი-
აზრება „მამულიც“.

„მამულის“ ბინარული სემანტიკით „ვეფხისტყაოსანი“ წინარე
ლიტერატურულ ტრადიციას აგრძელებს. სასულიერო მწერლობაში
სასუფეველი ხშირად მოიხსენიება ზეციური ქალაქის, იერუსალიმის,
სახელით. „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ ასე განისაზღვრება
სასუფეველი: „ღვთისმსა-ხურებასა საიდუმლოსა შინა ერთი მამული
პატივცემულ არს, რომელ არს სამოთხე, პირველისა მის მამისა ჩუე-
ნისა საყოფელი, და ერთი ქალაქი, რომელ არს ზეცისა იერუსალემი,
ცხოველთა მათ ქვათა მიერ აღშენებული, რომლისა შემოქმედ და
ხუროთმოძღვარ ღმერთი არს, და ერთი ნათესაობად, რომელ არს
თვსებად ღმრთისად“ (გიორგი მცირე).

ნეტარი ავგუსტინე მიმართავს უფალს: „*უფალო ღმერთო ჩემო,
ვისაც მორჩილებითა და სიმდაბლით უნდა გმსახურებდე, გვედრები
ჩვენი მეუფისა და ჩვენი წმინდა, ჩვენი უმწიკვლო სამშობლოს – ზეცი-
ური იერუსალიმის გულისთვის...*“ (ნეტარი ავგუსტინე, 1995, გვ. 214).

თუ ზეციური ქალაქი იერუსალიმი ან სიონია, ეს ქვეყანა, წუთი-
სოფელი – ეგვიპტეა. გიორგი მცირე სულიერ თვალს მიადევნებს
გიორგი მთაწმიდელის განსვლას *ხორცთაგან*: „...დაუტევა ეგვიპტე,
რომელ არს ცხორებად ესე ნივთიერი და წიაღვლო არა თუ ზღვად იგი
მეწამული, არამედ შავი ესე და წყვილიადა ზღვად ამის საწუთროისად.
შევიდა ქუეყანასა მას აღთქმისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალიმი“
(გიორგი მცირე, 1967, გვ. 194)].

ამგვარ პარადიგმულ სახისმეტყველებას დანტეც მიმართავს: „*მი-
ტომაც დართეს მას ეგვიპტის იმ ბნელეთიდან ნება სიონში აქ მოს-
ვლისა*“ (სამოთხე, ქება 25-ე, სტრ. 55).

მიწიერ და ზეციურ სამშობლოს შორის, ცხადია, ღრმა შინაგანი
კავშირია: მიწიერი ზეციურს განსახოვნებს, თავის მხრივ სასუფევე-
ლი მიწიერი სამშობლოს ღვთაებრივი იდეაა (პირველსახეა). „*შექმნა
ერთისგან სისხლისა ყოველნი ნათესავნი კაცთანი დამკვდრებად ყო-
ველსავე ზედა პირსა ქუეყანისასა, განაჩინნა დაწესებულნი ჟამნი და
საზღვრის დადებანი დამკვდრების მათისანი მოძიებად ღმრთისა და
უკუეთუმცა ვინ ეძიებდა, პოამცა იგი*“ (საქმე მოციქულთა, 17. 26). ამ-
დენად, ადამიანი იბადება განსაზღვრულ დროსა და ადგილას „*მოძი-
ებად ღმრთისა*“. ამის გაცნობიერება პიროვნების თვითშემეცნების კვა-
ლობაზე ხდება („*ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო*“.
დავით გურამიშვილი).

მიწიერ და ზეციურ სამშობლოთა შორის უხილავი ხიდი რწმენაა.
დანტე ალიგიერი:

*„მაგრამ რადგანაც მხოლოდ რწმენა გაუხსნის კარებს,
ამ საუფლოსას მოქალაქეთ, სასურველია
მან აქ ადიდოს შენდამი რწმენა“.*

(სამოთხე, ქება 24-ე, სტრ. 43)

მისივე თქმით, არამხოლოდ სამშობლო, ენაც განგებით განესაზღ-
ვრება ადამიანს:

*„ენას ბუნება მიანიჭებს მოდგმას კაცისას,
ხოლო როგორი უნდა იყოს ეს მეტყველება,
ამას განგება განაწესებს, განაგებს თავად“.*

(სამოთხე, ქება 26-ე, სტრ.127).

ენის, მამულისა და სარწმუნოების სიღრმისეული კავშირი, რომელსაც ბიბლიური ფესვები აქვს, ქართული მწერლობის ლაიტმოტივია („რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“ გრ. ორბელიანი). ჰაგიოგრაფიაში შესანიშნავი მაგალითია იმისა, რომ რწმენასა და ლიტურგიკულ ენას შეუძლია სამშობლოს დარღვეული საზღვრების დადგენა (შემოწერა): „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების...“ (გიორგი მერჩულე, 1963, გვ. 290).

ზეციური სამშობლოს, ზესთასოფლის, მხატვრული წარმოდგენა რუსთაველისა და დანტეს შემოქმედებაში განსხვავებულია იმ ნიშნით, რომ რუსთაველისთვის იქ სამოთხე და ჯოჯოხეთია, ხოლო დანტესთვის, როგორც კათოლიკე ქრისტიანისთვის, საიქიო მოიცავს ჯოჯოხეთს, სალხინებელსა და სამოთხეს. ორივე პოემაში იკვეთება ზეციური იერარქიისა და ღვთაებრივი ნათლის ქრისტიანული კონცეფცია. რუსთაველის პერსონაჟი ასე წარმოიდგენს სამოთხეს:

*„მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“.* (1304)

სიბრძნესთან, ნათელთან, ღმერთთან ზიარებას გულისხმობს აგრეთვე, „შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ (790). ღმერთი „ნათელთა მსახეა“ („ვითა ვიძიშვი, გაცნობოს ღმერთმან, ნათელთა მსახემან!“ 744).

შალვა ნუცუბიძის ფორმულირებით (1976, გვ. 112), „დანტემ პოეტურად შეასხა ხორცი იერარქიულ ზეაღსვლას მიწიდან ზეცამდე

მატებადი ნათელის პრინციპის შესაბამისად“. ჩვენი მხრივ შეიძლება დავძინოთ, რომ ამავე პრინციპით „მატებადია“ სიხარული. რაც უფრო მატულობს ნათელი, მით უფრო ძლიერდება სიხარული. საღმრთო ნათელი საღმრთო სიხარულის წყაროა. სიხარული ისეთივე ნიშანდობლივია სამოთხისთვის, როგორც ნათელი.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები, წუთისოფლის სიავით გატანჯულნი, სიხარულს იმქვეყნად ელიან. ეს იქნება საღვთო ნათელში მყოფობის სახარული, ტანჯვისა და ცრემლის წილ სიხარული, მიჯნურთან შეყრის სიხარული.

*„ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ, ენით:
აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანერთი კვლა ვნახნეთ, კვლა რამე გავიხარენით“.* (882)
*„საყვარელმან საყვარელი ვით არ ნახოს, ვით გაწიროს!
მისკენ მივალ მხიარული, მერმე მანცა ჩემ კერძ იროს“.* (883)
*„რა ადვილად გიჩნს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა!
აწ მივსწურვივარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა“.* (881)

ნათლისა და სიხარულის თანაგანცდის ამსახველი ულამაზესი ნიმუშია ტაეპი: „გულსა ბნელი განმინათლდა, ზედა ლხინი ადგა სვეტად“ (410).

დანტეს გმირისთვის უსაზღვრო სიხარულია შეხვედრა ბეატრიქსთან, რომელთან ყოფნაც არ დასცალდა წუთისოფელში და რომელიც, აქ, მხატვრულ სინამდვილეში, უკვე სხვა სიმბოლური საზრისის გამომხატველია. სამოთხის სივრცე სიხარულითაა აღვსილი. ჩნდება ისეთი საყურადღებო მხატვრული სახეები, როგორებიცაა: „სიხარულის რიდე“, „სიხარულის საფარველი“. რუსთაველთან გვხვდება „სიხარულის კარი“ („სიმძიმელთა ერდო დახაშ, სიხარულის კარი აღი“, 397).

რაც შეეხება სამოთხის იერარქიულ წყობას, რაც ასე მკაფიო და თვალსაჩინოა „ღვთაებრივ კომედიაში“, „ვეფხისტყაოსანში“ არ არის დეტალიზებული, თუმცა სწორედ ამ იერარქიას გულისხმობს „ზესთ მწყობრთა წყობა“, „ცისა ძალთა დასი“; „ძალნი ზეციერნი“, „ბორბალი ... ცისა შვიდისა“, „... ცხრითავე...ცითა“ და სხვ. ზეციური იერარქიის მეტის სიზუსტით წარმოჩენის შესაძლებლობა და აუცილებლობა არ დგას პოემაში პერსონაჟთა პირობითად მაჰმადიანური აღმ-სარებლობის გამო. ამ საკითხს ეხება აკაკი გაწერელია (1970, გვ. 140-150) წერილში „რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ზო-

გიერთი საკითხი“ და აღნიშნავს, რომ ქრისტოლოგიაში ფსევდო-დიონისეს მიერ დადგენილი იერარქია (სამი ძირითადი ტრიადა და ცხრა ჩინად დაყოფილი საზღვარნი) ისეა დამკვიდრებული, რომ რუსთაველი, ისევე როგორც დანტე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელიდან გამოდის; ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან არეოპაგელის იერარქიზმის პრინციპითაა აგებული. მის პოემაში თვითონ ანგელოზთა სახელწოდებანი რომ არ გვხვდება, ეს გამოწვეულია ნაწარმოების პირობითი მუსლიმანური გარსით. ამავე თვალსაზრისს იზიარებს სოლომონ ცაიშვილი ნაშრომში „დანტე და რუსთაველი (რამდენიმე ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი პარალელი)“. მკვლევარი მსჯელობს (1984, გვ. 145-169) ზეციური იერარქიისა და ღვთაებრივი ნათლის ქრისტიანულ კონცეფციაზე და აღნიშნავს, რომ არეოპაგელის გავლენა ჩანს „ვეფხისტყაოსანში“, ხოლო „ღვთაებრივი სამოთხის“ ოცდამერვე ქების ტექსტში ვეცნობით ანგელოზთა იერარქიულ წყობას, რომელიც აბსოლუტურად იდენტურია დიონისე არეოპაგელის იერარქიული წყობისა.

„ვეფხისტყაოსანსა“ და „ღვთაებრივ კომედიაში“ ასახულია ის ისტორიული სინამდვილე და რეალიები, რომლებშიც ცხოვრებდნენ პოეტები. ისტორიული პლასტი, თავისი პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და პიროვნული ასპექტებით ორივე პოემაში გამოსჭვივის, თუმცა ეს დანტესთან უფრო კონკრეტული და რეალისტურია, ვიდრე რუსთაველთან. ამ საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე რუსთველოლოგიაში დამკვიდრებული ცალსახა პოზიცია მოკლედ შეიძლება ჩამოვყალიბოთ ვიქტორ ნოზადის სიტყვებით (1963, გვ. 549), რომ „ვეფხისტყაოსნის“ გარემო და მსოფლმხედველობა მხოლოდ გარეგნულადაა აღმოსავლური კულტურის ნიშნების მატარებელი, ხოლო არსებითად იგი ქრისტიანული მხატვრული ნაწარმოებია და მასში საკუთრივ ქართული სამყაროა წარმოსახული. „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოება არის ქართული საზოგადოება; „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოება არის ქრისტიანული საზოგადოება.

პოემის „ქართულ სულსა“ და პერსონაჟთა ქართულ ხასიათებზე ჯერ კიდევ პოემის პირველი გამომცემლები საუბრობენ, ხოლო აკაკი წერეთლის საჯარო ლექციებმა „ვეფხისტყაოსანზე“ ეს თემა კიდევ უფრო გაააქტიურა და ფართო განხილვის საგნად აქცია.

სამეფოს პოლიტიკური წყობა – მონარქია, სოციალური წყობა – პატრონჟიმობა, 7 ნაწილად დაყოფილი ქვეყანა; ტახტის მემკვიდრის საკითხი; ქალის გამეფების უპრეცედენტო მოვლენა და სხვა – არის ის

ისტორიული რეალობა, რომელიც ასახულია „ვეფხისტყაოსანში“, თუმცა მის სიუჟეტში არ ხდება ისტორიული პირების, ფაქტების, მოვლენების კონკრეტიზაცია, მოქმედებენ გამოგონილი პერსონაჟები და დრო მითოლოგიზებულია (მხოლოდ პროლოგი თამარ მეფის ხსენებით და ეპილოგი იძლევა შესაძლებლობას პოემაში ასახული მოვლენები დაუკავშირდეს კონკრეტულ ისტორიულ ეპოქას.) ამიტომაც აღნიშნავდა შვეიცარიელი ქართველოლოგი რუთ ნოიკომი (1978, გვ. 216-217), რომ *„ჰომეროსისა და დანტეს მსგავსად, რუსთველმა მოახერხა ერთად აესახა ადამიანურობა დროის გარეშე და თავისი ხალხის ტიპური დამახასიათებელი ნიშნები, რამაც ამ ხალხს ნება მისცა შეეცნო საკუთარი თავი და არსი მსოფლიო მასშტაბის სულიერ ჩარჩოში“*.

„ვეფხისტყაოსანში“ თითქოს ყოფიერებაზე, ისტორიულ რეალობაზე მაღლა დგას ბიბლიური საზრისი ამ ყოფიერები-სა, პოეტი გვაჩვენებს ყოფიერების სახეობრიობას იგავურ-ალეგორიული ფორმებით და არა თვითონ ყოფიერებას, ამიტომაც პოემაში სახეობრივია, ზოგადად, ადამიანი, მეფე, მიჯნურობის ფენომენი, სოციალური წყობა და ურთიერთმიმართება, რომელიც (იდეაში) ბაძავს ზეციურ იერარქიას (შდრ. „სადა არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება ღმრთეებისა“. გიორგი მერჩულე). ამისი დასტურია როსტევეანისა და ავთანდილის, ავთანდილისა და შერმადინის ურთიერთობები.

„ღვთაებრივ კომედიაში“ გამჭვირვალე აისახა დანტე ალიგიერის თანამედროვე იტალიის პოლიტიკური მოვლენები, რომელთა უშუალო მომსწრე და მონაწილე თავად იყო. ნაშრომში „მხატვრული რეალიზმი – შემოქმედებითი მეთოდი (დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედის“ მიხედვით)“ თინათინ ბიგანიშვილი (2021, გვ. 195) შენიშნავს, რომ პოეტმა მოირგო გარდაცვლილი სატრფოს აჩრდილს დადევნებული მიჯნურის ნიღაბი. „ამ ნიღბის მიღმა დანტეს ბიოგრაფიული დეტალები და მისი თანამედროვე იტალიის ისტორიული რეალობა მატთანის სიზუსტით იკითხება. დანტეს „ჯოჯო-ხეთის“, „სალხინებისა“ და „სამოთხის“ სანახებში არა მარტო მითოსური და შორეული წარსულის მკვიდრნი ხვდებიან, არამედ მისი თანამედროვენი და ისტორიული პირები XIV საუკუნის იტალიის უახლოესი წარსულიდან. ეს არის დანტეს თანამედროვე ფლორენციისა და მთელი იტალიის რეალისტური სურათი“. ასე, ამ ფორმით გადმოსცა პოეტმა თავისი სათქმელი, რომელსაც გარდა საკუთრივ რელიგიურისა, თავისი

პოლიტიკური კონტექსტიც აქვს. არაერთგან იკითხება მიმართვა პოლიტიკური ოპონენტებისადმი:

*„და თუ ქვეყანა ახლანდელი წარხდენილია,
ამის მიზეზი თქვენშივეა, იქვე იძიეთ,“*
(სალხინებელი, ქება მე-16. სტრ. 82)

(საგულისხმოა, რომ ორივე შემოქმედს წილად ხვდა დევნილობა სამშობლოდან. განსხვავებით რუსთაველისგან, დანტეს ბიოგრაფია კარგად არის ცნობილი, მისმა პირველმა ბიოგრაფმა, ჯოვანი ბოკაჩომ, შთამომავლობას შემოუნახა ცნობები დიდი პოეტის ცხოვრების, ოჯახის, მოღვაწეობის, პოლიტიკური პოზიციის შესახებ. დანტე გარდაიცვალა ფლორენციიდან შორს, ქალაქ რავენაში. მიღებული ვერსიით, რუსთაველიც დევნილი იყო სამშობლოდან და სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა იერუსალიმში. თუმცა მისი პოლიტიკური პოზიცია, დევნილობის მიზეზები, ცხოვრების ბოლო წლები და განსასვენებელი კვლევისა და ვარაუდების საგანია და არა ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული სინამდვილე.)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, განუყოფელი სამშობლოსგან, არის ენა. ენა – „სული ერისა“ (ჰუმბოლდტი) და „ყოფიერების სავანე“ (ჰაიდეგერი).

რუსთაველის ენა, შეიძლება ითქვას, ზოგადქართულია. სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობები „ვეფხისტყაოსანში“ დაიძებნოს რომელიმე კონკრეტული დიალექტისთვის დამახასიათებელი ლექსიკა და ამით დაზუსტდეს რუსთაველის წარმომავლობაც, მაგრამ ვფიქრობ, „ვეფხისტყაოსნის“ ენა აერთიანებს როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური დიალექტისთვის ნიშანდობლივ ლექსიკასა და სინტაქსურ კონსტრუქციებს. ამ გაგებით, ის ზოგადქართულია. რუსთაველი საგანგებოდ ირჩევს ფართო მკითხველისთვის გასაგებ ენობრივ სტილს (თუმცა შეეძლო ეწერა მაღალი საღვთისმეტყველო სტილითაც („თუ სამ სწადოდა, ღუთის მეთყუდლიცა მაღალ“ – ანტონ კათალიკოსი). ამით მისი შემოქმედება, ნააზრევი, მისაწვდომი ხდება არამხოლოდ მწიგნობართა, ღვთისმეტყველთა ვიწრო წრისთვის, არამედ მთელი ერისთვის. ალ. ბარამიძემ რუსთაველის დამოკიდებულებას ენისადმი უწოდა ჰუმანისტური. „ჰუმანისტურად უდგება რუსთაველი ენის საკითხს. ამის საბუთია პოეტის მხრით ენის ხალხურობისაკენ მიდრეკილება, საეკლესიო-სქოლასტიკური სამწიგნობრო

ნორმების უარყოფა და ხალხის სამეტყველო-სასაუბრო ენის სალიტერატურო ენასთან დაახლოება“ (ბარამიძე, 1966, გვ. 229).

მსგავსია დანტე ალიგიერის ენობრივი არჩევანი „ღვთაებრივ კომედიაში“. როგორც ცნობილია, დანტეს თეორიული ნაშრომები შეიქმნა ლათინურ ენაზე, ხოლო „ღვთაებრივი კომედია“ – იტალიურად. დანტემ პოემაში გამოიყენა „ახალი საამო სტილი“. კონსტანტინე გამსახურდია წერილში „დანტე და საქართველო“ ეხება ამ ორი დიდი შემოქმედის ენობრივ სტილს და შენიშნავს, რომ რუსთაველი ირჩევს ხალხურ, სადა და „არა სუპერპათეტიურ ტონს მეტყველებისა“ და დანტეს ამ ხალხური მეტყველების აპოლოგეტი იყო. ვფიქრობთ, ესეც იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ორივე პოემა ეროვნული მთლიანობის ერთგვარ სიმბოლოდ აქცია.

ამდენად, როგორც რუსთაველის, ასევე დანტე ალიგიერისთვის სამშობლოს ცნება ბინარულია, მას აქვს საერო და საღვთისმეტყველო საზრისი, რომლის საფუძველი ბიბლიურია. ორივე შემოქმედისთვის მიწიერიდან ზეციურ სამშობლოში ამყვანებელი უხილავი კიბე რწმენაა, რომელიც რეალიზდება პერსონაჟთა ცხოვრების წესში, ღმერთის, სამშობლოსა და მოყვასის მსახურებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაშიძე, ი. (1989). „გუშინ, გუშინწინ“. თბილისი: „მერანი“.
- აბაშიძე, ი. (2003). „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“. ISBN99940-22-31-8
თბილისი: „იტელექტი“.
- ალექსიშვილი მ. (1957). „კათალიკოს ანტონ ოირველის მიერ ვეფხისტყაოსნის დაწვის საკითხი“, ქრისტიანული რელიგიის გაგებისა და შეფასების საკითხისათვის. თბილისი: „სახელგამი“, 262-272.
- არსენიშვილი გ. (1957). „ვეფხისტყაოსნის სწავლების შესახებ სკოლაში“. გაზ. „გამარჯება“, 18 დეკ., 149, 2.
- ბარამიძე, ა. (1958). „შოთა რუსთაველი“, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- გვენცაძე, ა. (1966). „ბრძენი მასწავლებელი“. გაზ. „ალაზნის განთიადი“, 29 სექ., 115, 2.
- ეკაშვილი კ. (1966). „ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისთვის“, „შოთა რუსთაველი“ (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი). კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი: „მეცნიერება“, 227-274.
- მახარაძე ფ. (1896 წ.). „კრიტიკული განხილვა“ (ვეფხისტყაოსნის საკითხები) ჟურნ. „კვალი“, 20, 349-352.

- მახარაძე ფ. (1926). „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, „სიტყვაკაზმული მწერლობა და მისი კრიტიკა“, თბზულებათა სრული კრებული, V. ტფილისი: სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
- მეგრელიძე ი. (1970). „რუსთველოლოგიები“. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- მიქაძე, გ. (1967). „რუსთველოლოგიური პრობლემატიკა საბჭოთა საქართველოში“, „ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები“, თბილისი: „მეცნიერება“, 313-329.
- რატინი, ი., ელბაქიძე, მ. (2016). „ქართული მწერლობის გოლგოთა“, „ბოლშევიზმი და ქართველი ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921-1941 წწ) კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ISBN 978-9941-485-84-8. (პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (№ F31/92) მეშვეობით) თბილისი: „მწიგნობარი“, 9-25.
- ტოროშელიძე მ. (1934). „რუსთაველის პოემა“, „ქართული ლიტერატურა“ (მოხსენება მწერალთა კავშირის ყრილობაზე 20 აგვისტოს). ჟურნი. „მნათობი“, 7-8, 222-230.
- ქიქოძე, მ. (1966). „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის საკითხისათვის. „მაცნე“, 5, თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, 96-105.
- ღალანძიძე, მ. (2021). „რუსთველის კვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მეოცე საუკუნის საჯარო-სამოქალაქო და კულტურულ კონტექსტში. ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, 2/2, 2010-2019, თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ISBN 978-9941-9736-4-2, 22-29.
- შოთა რუსთაველი, (1951). „ვეფხისტყაოსანი“, სარედაქციო კოლეგია: ა.ბარამიძე, ვ. კეკელიძე, ა. შანიძე. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
- ჩხარტიშვილი, რ. (1966). „ფატმანის სახის გაგებისათვის ვეფხისტყაოსანში“. გაზ. „ლენინის დროშა“, 19 აპრილი, 47, 3.
- ჩხეიძე, რ. (2015). „ბედი პავლე ინგოროყვასი“. თბილისი: „ჩვენი მწერლობა“, ISBN: 9789941079993
- ჩაჩანიძე, ვ. (1980). „ვეფხისტყაოსანი მსოფლიოს ხალხთა ენებზე“. თბილისი: „ხელოვნება“, 6-56.
- ცაიშვილი, ს. (1964). „რუსთველური მიჯნურობის განმარტება ვახტანგ მეექვსესთან“, „მველი ქართული მწერლობის საკითხები“, II. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 224-240.
- ჯანელიძე, ო. (2017). „შოთა რუსთაველის პირველი იუბილე“ (1937 წ.) ხაშური.

References:

- Abashidze, I. (1989). „Gushin, gushints'in“. [Yesterday, the day before yesterday]. Tbilisi: „merani“.
- Abashidze, I. (2003). „Zarebi otsdaatiani ts'lebidan“. [„The Bells from the thirties“]. ISBN99940-22-31-8. Tbilisi: „int'elekt'i“.
- Aleksishvili, M. (1957). „K'atalik'os Ant'on p'irvelis mier Vefkhist'q'aosnis dats'vis sak'itkhi“, „Krist'ianuli religiis gagebisa da shepasebis sak'itkhisatvis“. [“The Question of the Burning of „The Knight in Panther’s Skin“ by Catholicos Anton I”, in “For the Question of Understanding and Valuing the Christian Religion”]. Tbilisi: „sakhelgami“, 262-272.
- Arsenishvili, G. (1957). „Vefkhist'q'aosnis sts'avlebis shesakheb sk'olashi“. [About teaching „The Knight in Panther’s Skin“ at school]. Gaz. „Gamarjveba“, 18 dek', 149, 2.
- Baramidze, A. (1958). Shota Rustaveli. [Shota Rustaveli.]. Tbilisi: sakartvelos ssmetsnierebata ak'ademiis gamomtsemlobal
- Ek'ashvili K'. (1966). „Vepkhist'q'aosnis avt'oris msoplmkhedvelobisatvis“, „Shota Rustaveli“ (ist'oriul-pilologiuri dziebani). [“For the worldview of the author of The Knight in Panther’s Skin“ (“Shota Rustaveli” (historical-philological research))]. K'. K'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta inst'it'ut'i. Tbilisi: „metsniereba“, 227-274.
- Chachanidze, V. (1980). „Vepkhist'q'aosani msoplios khalkhta enebze“. [„The Knight in Panther’s Skin“ in the languages of the peoples of the world]. Tbilisi: „khelovneba“, 6-56.
- Chkhar'ishvili, R. (1966). „Fat'manis sakhis gagebisatvis vepkhist'q'aosanshi“. [To understand Fatman's character in The Knight in Panther’s Skin“]. Gaz. „Leninis drosha“, 19 ap'rili, 47, 3.
- Chkheidze, R. (2015). „Bedi P'avle Ingoroq'vasi“. [Fate of Pavle Ingoroq'va]. Tbilisi: „chveni mts'erloba“, ISBN: 9789941079993
- Ghaghanidze, M. (2021). „Rustvelis k'vlevebi „Vepkhist'q'aosnis“ avt'oris religiuri aghmsareblobis shesakheb meotse sauk'unis sajaro-samokalako da k'ult'urul k'ont'ekst'shi“. [„Rustveli's studies on the religious confession of the author of „The Knight in Panther’s Skin“ in the public-civic and cultural context of the twentieth century“]. Lit'erat'ura, k'ult'ura, religia, 2/2, 2010-2019, Tbilisi: sakartvelos p'arliament'is erovnuli bibliotek'a, ISBN 978-9941-9736-4-2. pp. 22-29.
- Gventsadze, A. (1966). „Brdzeni masts'avlebeli“. [“Wise teacher“]. Gaz. „Alaznis gantiadi“, 29 sekt', 115, 2.
- Janelidze, O. (2017). „Shota Rustavelis p'irveli iubile“ (1937 ts'). [„The first anniversary of Shota Rustaveli“ (1937)]. Rustaveli da Sakartvelo – sametsniero k'onferentsiis masalebi. Khashuri.

- Kikodze, M. (1966). „Vepkhist'q'aosnis“ p'irveli gamotsemis sak'itkhisatvis. [For the issue of the first edition of „The Knight in Panther's Skin“]. „Matsne“, 5, Tbilisi: sakartvelos sss metsnierebata ak'ademia, 96-105.
- Makharadze, F. (1896). „K'rit'ik'uli gankhilva“ (Vepkhist'q'aosnis sak'itkhebi“). [\"Critical Review\" (The issues of „The Knight in Panther's Skin“)]. Zhurn. „k'vali“, 20, 349-352.
- Makharadze, F. (1926). „Daniel Ch'onkadze da misi dro“, „sit'q'vak'azmuli mts'erloba da misi k'rit'ik'a“, Tkhzulebata sruli k'rebuli, V. [„Daniel Chonkadze and his time“, „Fiction and its criticism“, A complete collection of Works, V]. T'filisi: sssr sakhelmts'ifo gamomtsemloba.
- Megrelidze, I. (1970). „Rustvelologebi“. [„Rustvelologists“]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- Mikadze, G. (1967). „Rustvelologiuri p'roblemat'ik'a sabch'ota Sakartveloshi“, „Kartuli sabch'ota mts'erlobis sak'itkhebi“. [Rustological problems in Soviet Georgia", "Issues of Georgian Soviet writing], Tbilisi: „Metsniereba“, pp. 313-329.
- Rat'iani, I., Elbakidze, M. (2016). „Kartuli mts'erlobis Golgota“, „Bolshevizmi da kartuli lit'erat'ura gasabch'oebidan meore msoplio omamde (1921-1941 ts'ts'). [\"Golgotha of Georgian writing\", Bolshevism and Georgian literature from Sovietization to World War II (1921-1941)]. K'omp'arat'ivist'uli lit'erat'uris kartuli asotsiatsia (GCLA) Shota Rustavelis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'i, ISBN 978-9941-485-84-8. (P'roekt'i gankhortsielda Shota Rustavelis erovnuili sametsniero pondshi mop'ovebuli grant'is (№ F31/92) meshveobit) Tbilisi: „mts'ignobari“, pp. 9-25.
- Shota Rustaveli, (1951). „Vepkhist'q'aosani“, saredaptsio k'olegia: A. Baramidze, K'. K'ek'elidze, A. Shanidze. [„The Knight in Panther's Skin“, Editorial Board: A. Baramidze, K. Kekelidze, A. Shanidze]. Tbilisi: sakartvelos sss sakhelmts'ifo gamomtsemloba.
- Toroshelidze, M. (1934). „Rustavelis p'oema“, „kartuli lit'erat'ura“ (mokhseneba mts'eralta sak'avshiro q'rilobaze 20 agvist'os). [\"Rustaveli's Poem\", \"Georgian Literature\" (Report at the Writers' Union Congress on August 20)]. Zhurn. „Mnatobi“, 7-8, 222-230.
- Tsaishvili, S. (1964). „Rustveluri mijnurobis ganmart'eba Vakht'ang meekvsestan“. „Dzveli kartuli mts'erlobis sak'itkhebi, II. [\"Definition of Rustaveli's „love“ by Vakhtang the Sixth\", „Issues of ancient Georgian writing, II]. Tbilisi: sakartvelos metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba, 224-240.